პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 აპრილი ოთხშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 76 (14680)

ეძღვნება დიდი ლენინის იუბილეს

დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა პოეზიის დღეები საქართველოში

მეგობრობა ჩვენი ძალაა

კოეზიის საღამო რუსთაველის თეატრში

□

ამიერკავკასიის ხალხების, საბჭოთა ყველა ხალხის მეგობრობის დიდ, მკაფიო დღესასწაულად გადაიქცა პოეზიის საღამო, რომელიც 30 მარტს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა. ეს საღამო იყო ლექსის ნამდვილი ზეიმი, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა პოეზიის დღეების დაგვირგვინება.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

სცენაზეა სსრ კავშირის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფო ალმები. სცენის სიღრმეში თითქოს ამიერკავკასიის ერების საუკუნოვანი მეგობრობის სიმბოლოდ ალმართულა უზარმაზარი, ქართული მიწა-წყლის ყვავილებით შემკული ლამაზი ხე.

პრეზიდიუმში არიან ჩვენი სტუმრები — აზერბაიჯანული და სომხური ლიტერატურის ოსტატები, ქართველი მწერლები.

— არა არის რა უფრო კეთილშობილური გრძნობა, ვიდრე გრძნობა მეგობრობისა, — თქვა, საღამოს გახსნისას, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა მ. აბაშიძემ. — გულღიად, დიდი სიყვარულით შეეგება ჩვენი დედაქალაქი სტუმრებს. თბილისი ამიერკავკასიის კულტურის ცენტრად ითვლებოდა. აქ ცხოვრობდნენ და შესანიშნავ ნაწარმოებებს ქმნიდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის საუკეთესო შვილები. და სწორედ თბილისში ეღირს დღეს პოეზიისა და მეგობრობის ამ დაუფიწყარი დღესასწაულის შესანიშნავი აკორდები.

ჩვენი ხალხები მარტო მეზობლები როდი იყვნენ. მათი საუკეთესო წარმომადგენლები უძველესი დროიდან ერთად იბრძოდნენ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ერთად ვანიცდიდნენ გამარჯვების სიხარულსა და დამარცხების სიმწარეს.

დიდმა ნიზამიმ და რუსთაველმა შექმნეს ხალხთა მეგობრობის უკვდავი ჰიმნები, მომავალ თაობებს უანდერძეს ეცხოვრათ ძმურად და მეგობრულად. ჩვენი ხალხების მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით მირზა ფათალი ახუნდოვსა და ოვანეს თუმანიანს. დიდი მეგობრობა აკავშირებდა მათ ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. ბევრი ბრწყინვალე ნაწარმოები უძღვნეს პოეტებმა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას. ამაზე წერდნენ ილია ჭავჭავაძე და აბაკი წერეთელი, რომლებსაც თავიანთი ხალხის თავისუფლების პირველ პირობად სხვა ხალხებთან ერთობა მიაჩნდათ.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ახალი ნათელი ისტორია დაკავშირებულია დიდი ლენინის სახელთან, რომლის ხსოვნას ეძღვნება ეს შესანიშნავი დღესასწაული. ბელადის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენი ხალხების საუკუნოვან ოცნებათა განხორციელება.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხთა ძმობა და მეგობრობა დიდი ოქტომბრის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს.

დიდება მას — ჩვენს მეგობრობას, დიდება ჩვენს ძმობას!

— ამ დარბაზში, ამ შეხვედრაზე მოგვიყვანა დიდმა და ღრმა გრძნობამ, — თქვა სომხეთის მწერალთა კავშირის განგაშის მეორე მდივანმა ჰ. ოგანესსიანმა. — დღეს ჩვენ, ამიერკავკასიის ხალხთა უძველესი ლიტერატურების მდგმელის **გერონტი მესხის** გამოცოცხლებას ვზეიმობთ. საუბარია მუშა **ვლადიმერ ტერელაძე** საკუთარი ლექსით წარსდგა სტუმრების წინაშე.

შემდეგ ჯერი მეგობარ პოეტებზე მიდგა. სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მეორე მდივანმა **პრაჩია ოვანესიანმა** ილაპარაკა ამიერკავკასიის მუშათა კლასის ბრძოლა შრომაზე, სამი რესპუბლიკის ძმაწველობის გიგანტურ ალმაფლობაზე და მარჯვენა შეუქნა ქართველ ელმავალშენებლებს.

აზერბაიჯანელმა პოეტმა **ნიაგარი რაფიანელმა** წაიკითხა ლირიკული ლექსი „ბაირამი“, ხოლო მისი ქართული თარგმანი დამსწრეთ გააცნო პოეტმა **მორის ფოცხიშვილმა.**

ლირიკული ლექსები წაიკითხეს სომეხმა პოეტმა **სილვა კაპუტიკიანმა,** ქართველმა პოეტმა **ხუტა ბერულავამ, ფრიდონ ხალვაშმა.**

შემდეგ მასპინძლებმა შეხვედრის მონაწილენი ქარხნის საამქროების ღასაფრენ ადგილებზე მიიწვიეს. სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულმა ელმავალმა. აზერბაიჯანელმა, სომეხმა და ქართველმა პოეტებმა მადლობა გადუხადეს მასპინძლებს, და მახანძრის კოლონა საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთისაკენ დაიძრა. ქართული არქიტექტურის შედევრებს — მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოველს განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი, ასე იყო ამჯერადაც...

პოეზიისა და გაზაფხულის დღესასწაულის ექო დიდხანს იხმიანებს, რაც ჩვენი მარადიული ძმობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საწინდარია. მომავალ შეხვედრამდე, ძვირფასო მეგობრებო!

(საქდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკურ საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ბრძანებულებით

ბ. ბ. ბოდუენი — ბაკურიანის ეროვნული ანსამბლის ხელმძღვანელი;

ალ. ალ. ბოლკვაძე — ბორჯომ

იმპერიალიზმის ლენინური თეორია და თანამედროვეობა

თეორიის საკითხები

კარლ მარქსის გენიალური ნაშრომი „კაპიტალი“, აგრეთვე მისი სხვა შრომები მეცნიერულად ასაბუთებს კაპიტალისტური საზოგადოების დაღუპვის გარდუვალობას და კომუნიზმის გამარჯვების აუცილებლობას. მარქსმა გახსნა კაპიტალიზმის ეკონომიურ მოვლენათა შინაგანი კავშირი, აღმოაჩინა ბურჟუაზიული საზოგადოების აბსოლუტური და ძირითადი ეკონომიური კანონი — ზედმეტი დირებულების კანონი, კაპიტალისტური დაგროვების ისტორიული ტენდენციის გაშუქების შედეგად დაგვანახვა კაპიტალისტური კერძო საკუთრების მოსპობისა და ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის რთული პროცესი.

ვ. ი. ლენინმა ახალ ისტორიულ პირობებში ვენიალურად განვითარა და შემოქმედებითად განვითარა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რევოლუციური მოძღვრება. ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული დამსახურება იმპერიალიზმის ზემეცნიერული თეორიისა და სოციალისტური რევოლუციის ახალი მოძღვრების შექმნა. მან მისცა პროლეტარიატს ბასრი თეორიული იარაღი კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისათვის, უჩვენა სწორი გზა კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისა და ახალი საზოგადოებრივი წყობილების მშენებლობისათვის ბრძოლაში.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმში. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ ჩამოყალიბებულ. მთელ რიგ დებულებებს უღიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ კაპიტალიზმის ამ უმაღლესი სტადიის შესწავლისათვის. მაგრამ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ანუ იმპერიალიზმის კანონზომიერებათა ყოველმხრივი გამოკვლევა მოგვცა ვ. ი. ლენინმა.

იმპერიალიზმის ლენინური თეორია, რომელიც ჩამოყალიბებულია მის კლასიკურ ნაშრომში — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, აგრეთვე პირველი მსოფლიო ომის წლებში დაწერილ სხვა შრომებში („ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“, „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“ და სხვ.), ღღესაც ინარჩუნებს თავის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას. ეს თეორია, როგორც ამას აღნიშნავს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, „ბრძმარბა ბავიბეოთ ის კონკრეტული თავისებურებებიც, რომლებიც გამოიკვეთა ევროპელ იმპერიალიზმი თანამედროვე ეტაპზე“.

ვ. ი. ლენინის დიადი იდეური მემკვიდრეობის ღრმა შესწავლა წარმოადგენს გასაღებს თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების კანონზომიერებათა გაგების საქმეში. იგი ძლევამოსილი იარაღია იმპერიალიზმის დამცველთა წინააღმდეგ მსოფლიო მასშტაბით გაჩაღებულ ახლანდელ მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლაში.

იმპერიალიზმის ლენინური თეორია „წარმოადგენს კ. მარქსის „კაპიტალის“ იდეების უშუალო განვრძობას და ვ ეფ ფ ეფ ეფ ე

მსოფლიო დღეს

მონღოლეთ-ჩეზოსლოვაკიის კომუნიკე

ულან-ბატორი, 30 მარტი. (საკ-დესი). მონღოლეთის სახალხო რეს-პუბლიკის დიდი სახალხო ხურალის თავმჯდომარის ე. სამბუს მოწვევით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა-ში ოფიციალური მეგობრული ვიზი-ტით იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრე-ზიდენტი ლ. სვობოდა. როგორც აღ-ნიშნულია მონღოლეთ-ჩეხოსლოვა-კიის ერთობლივ კომუნიკეში, პრეზი-დენტის ვიზიტის დროს გაიმართა საუბრები და მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების დროს, რომელიც გულითად და ამხანაგურ ატმოსფე-როში მიმდინარეობდა, მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოს-ლოვაკიის სოციალისტური რეს-პუბლიკის ახლანდელი მდგომა-რეობა, შეეხნენ მთავარ ამოცანებს, რომლებიც წყდება მათს ქვეყნებში, და მათი შემდგომი განვითარების ძირითად მიმართულებებს. საუბრებმა და მოლაპარაკებამ გამოავლინა, რომ მხარეებს საუსტინ ერთნაირი შეხედულებანი აქვთ ყველა განსილულ საკითხზე.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშ-ნეს, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობა ნაყოფიერად გითარდება მარქსიზმ-ლენინიზ-მისა და სოციალისტური ინტერნა-ციონალიზმის უსაყვარი პრინციპების საფუძველზე, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების სულისკვეთებით.

აზრები გაუზიარეს რა ერთმანეთს მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, მხარეებმა კვლავ სრული სოლიდარობა გამოუცხადეს გმირი ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას ამერიკის შეერთებული შტატების აგ-რესიის წინააღმდეგ, მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის, სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

განიხილეს რა შორეული აღმოსავ-ლეთის ვითარება, მონღოლეთისა და ჩეხოსლოვაკიის მხარეებმა სინანუ-ლით აღნიშნეს, რომ ჩინეთის სახა-ლხო რესპუბლიკის ახლანდელი ხელ-მძღვანელების პოლიტიკური კურსი ეწინააღმდეგება სოციალისტური ქვეყნების ბრძოლის ინტერესებს და მხოლოდ ხელს უწყობს მსოფლიო იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალებს.

კომუნიკის დასასრულს ორივე მხარემ განაცხადა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც შეუწყონ ხელი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებას, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისა და მთელი რევოლუციური ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირებას კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის სულისკვეთებით.

ლ. სვობოდა ვლადივოსტოკიდან გაემგზავრა

ვლადივოსტოკი, 31 მარტი. (საკდესი). ვლადივოსტოკის მშრომელები დიდი გულითადობითა და გულთბილობით შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ლუდვიკ სვობოდას, რომელიც აქ გავლით იყო იაპონიაში მიმავალი. სპატარო სტუმარმა დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

დღეს დილით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი და სხვა ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები სპეციალური თვითმფრინავით იაპონიაში გაემგზავრნენ.

ლ. სვობოდა ტოკიოში ჩავიდა

ტოკიო, 31 მარტი. (საკდესი). დღეს სპეციალური თვითმფრინავით ვლადივოსტოკიდან აქ ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუდვიკ სვობოდა. ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს მეთაური იაპონიას ჩამოვიდა იაპონიის მთავრობის მოწვევით იმასთან დაკავშირებით, რომ ოსაკაში მსოფლიო გამოფენაზე ეწყობა ჩეხოსლოვაკიის ეროვნული დღე.

ხანედის აეროპორტში ლუდვიკ სვობოდას და მის თანმხლებ პირებს დახვდნენ იაპონიის პრემიერ-მინისტრი ე. სატო და სხვა ოფიციალური პირები.

დამსვდურთა შორის იყვნენ იაპონიაში აკრედიტებული სოციალისტური ქვეყნების ელჩები.

ლაოსში ომის შესაჩერებლად ნინაადგილებ

ვიენტიანი, 31 მარტი. (საკდესი). ლაოსის პატრიოტული ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გმობს ამერიკული „ბ-52“ სტრატეგიული ბომბდამშენების თავდასხმებს ლაოსის განთავისუფლებულ რაიონებზე, რაც ისევ გრძელდება.

განცხადებაში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა კაოსან პატეტ-ლაოს სააგენტოს დამოწმებით, აღნიშნულია, რომ ამერიკის თვითმფრინავებმა 21, 23 და 24 მარტს გააფორტიონთ დაბომბეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები სიენ-ქანგის პროვინციაში. მარტო 23 მარტს „ბ-52-“ ბომბდამშენებმა, როგორც აღნიშნულია განცხადებაში, 11 რეიდი მოახდინეს ამ პროვინციაში. ბარბაროსული დაბომბვის შედეგად დახოცილი და დაჭრილია ასობით მშვიდობიანი მცხოვრები, აგრეთვე არის მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

დამთავრდა ლუქსემბურგის კომუნისტთა ყრილობა

დიფერდანჟი (ლუქსემბურგი), 31 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამის მუშაობა დაამთავრა ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ. დელეგატებმა მოისმინეს და განიხილეს ლუქსემბურგის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და მიიღეს მთელი რიგი რეზოლუციები. პოლიტიკურ პრობლემებზე მიღებულ რეზოლუციაში ლუქსემბურგის კომუნისტთა წინაშე დასახულია მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ, მშრომელთა ცხოვრების დონის დასაცავად, დემოკრატიისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის გაძლიერების ამოცანები.

ყრილობის ცალკე რეზოლუცია მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. იგი მოუწოდებს ლუქსემბურგის კომუნისტებსა და მთელ პროგრესულ ძალებს ღირსეულად აღნიშნონ ეს თარიღი, საფუძვლიანად სწავლობდნენ ვ. ი. ლენინის მემკვიდრეობას ყოველდღიურ საქმიანობაში.

ყრილობის დელეგატებმა მიიღეს აგრეთვე მებრძოლ ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის რეზოლუცია.

ყრილობამ აირჩია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ახალი შემადგენლობა.

ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ლუქსემბურგის კომპარტიის თავმჯდომარემ დ. ურბანმ. ჩვენი პარტია, რომელსაც მალე 50 წელი შეუსრულდება, ყოველთვის ესწრაფოდა მეგობრობასა და თანამშრომლობას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან — ლენინის დიად პარტიასთან, რომელიც ყველა სხვა მომძღვარ პარტიისათვის ყოველთვის სამაგალითო იყო, რადგან აქვს სოციალიზმის მშენებლობის დიდი გამოცდილება, ხაზგასმით აღნიშნა მან.

დ. ურბანმ აღნიშნა, რომ ყრილობამ ჩაიარა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში კონკრეტული მოქმედების პროგრამის გარშემო პარტიის ერთიანობის განმტკიცების ნიშნით.

აირჩიეს ლუქსემბურგის კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოები

დიფერდანჟი, 31 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დამთავრების შემდეგ გაიმართა პარტიის ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

ლუქსემბურგის კომპარტიის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ამბ. დომინიკ ურბანი. ლუქსემბურგის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს შემადგენლობაში შევიდნენ ამხანაგები დომინიკ ურბანი, არტურ უზილდინგერი და რენე ურბანი.

პლენუმმა აირჩია აგრეთვე ლუქსემბურგის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტი.

სტოკჰოლმის კონფერენციის გადაწყვეტილებანი

სტოკჰოლმი, 30 მარტი. (საკ-დესის სპეც. კორ.). ვიეტნამის შესახებ სტოკჰოლმის კონფერენციის დასკვნითს პლენარულ სხდომაზე დელეგატებმა შეაჯამეს კომისიების მუშაობის შედეგები, მოიწონეს იმ დოკუმენტების პროექტები, რომლებიც შემზადებულია კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებზე გამართული ფართო დისკუსიის შედეგად.

შეერებილნი დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ მოწოდებას, რომ მთელ მსოფლიოში გაიმართოს კამპანია, რათა ბელი მოაწერონ მოთხოვნას სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მთელი ჯარების დაუყოვნებლივ და უშენაშენოდ გაყვანის შესახებ. კონფერენციამ მოუწოდა ყველა საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციას, რომლებიც მხარს უჭერენ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ კამპანიაში.

შეეცის სახელგადო მოღვაწემ ბ. სვანსტრემმა, რომელიც კონფერენციას თავმჯდომარეობდა, ტაშის გრიალში შეიტანა ფინადიდან, რომ კონფერენციის დელეგატებისა და სტუმრების სახელით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. ნიქსონისათვის გაეგზავნათ მოკლე დეპეშა: „შეწყვეტეთ ვიეტნამის ომი!“.

ზოგად რეზოლუციაში, რომელიც ერთსულოვნად მოიწონეს კონფერენციის მონაწილეებმა, აღნიშნულია, რომ ომი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების ბაზად გადაქცეულა ლაოსში, ამერიკის ხრიკები კამბოჯაში სერიოზულ საფრთხეს უქმნიან ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

რეზოლუციაში გამოთქმულია რწმენა, რომ ვიეტნამის საკითხის სამართლიანი მოწესრიგებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უნდა დათანხმდეს იმ კანონიერ მოთხოვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის მიერ წამოყენებულ ათი პუნქტისაგან შემდგარ პროგრამაში.

სტოკჰოლმის კონფერენციამ მოუწოდა ყველა კონტინენტის ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს ენერგიულად მოითხოვონ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების გამოყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან, დაგმონ ამერიკელ აგრესორთა დანაშაული ვიეტნამში, მეტი პოლიტიკური მხარდაჭერა, და მატერიალური დახმარება გაუწიონ ვიეტნამელ ხალხს.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს შექმნან ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დანაშაულის გამომძიებელი საერთაშორისო კომისია.

ფაშისტებს — საკადრისი პასუხი

პარიზი, 31 მარტი. (საკ-დესი). საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა ე. ფაჟონმა გადაჭრით დაგმო ფაშისტი არამზადების ბანდიტური თავდასხმა ვ. ი. ლენინის ბინა-მუზეუმზე მარიროზის ქუჩაზე პარიზში. სტატიაში, რომელიც გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა იგი აღნიშნავს, რომ ვანდალიზმის ეს აქტი მოწმობს ფაშისტთა „ღვარძლსა და სიძულვილს“. ე. ფაჟონი ხაზს უსვამს ნეოფაშისტურ დაჯგუფებათა საქმიანობის გააქტიურებას საფრანგეთში და აცხადებს, რომ დემოკრატიულმა ძალებმა საკადრისი პასუხი უნდა გასცენ მას. „ფაშიზმი მუდამ უკან იხევს დემოკრატიული ძალების ერთობლივი მოქმედების წინაშე“.

ვაჭრობის განვითარებისათვის

ადის-აბება, 31 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფრიკო ეკონომიური კომისიის აღმასრულებელმა მდივანმა რობერტ გარდინერმა აქ გამოაცხადა, რომ შეიქმნა აფრიკაში ვაჭრობის განვითარებისათვის ხელშემწყობი ცენტრი. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელსაც ცენტრი განაგებს, — ეს არის კომერციული ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება აფრიკის ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებისათვის.

ფოტოინფორმაცია

ოსლო. ნორვეგიის დედაქალაქის 13.000-ზე მეტმა სტუდენტმა მოაწყო საპროტესტო გაფიცვა ცხოვრების გაძვირების წინააღმდეგ. სტუდენტებმა მთავრობას ბრალად დასდეს ის, რომ მან არ შეასრულა თავისი დაპირება მოეხდინა კომპენსაცია ფასების გაძვირებისა, რაც გამოიწვია ახალი საგადასახადო სისტემის „მომსის“ შემოღებამ ნორვეგიაში.

სურათზე: (ზემოთ მარცხნივ): დედაქალაქის უნივერსიტეტის სტუდენტთა დემონსტრაცია. ლოზუნგებზე ასეთი წარწერებია: „გაბაგრძეთ ბრძოლა გადასახად „მომსის“ წინააღმდეგ!“, „მხარი დაუჭიროთ მუშების ბრძოლას მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ!“

ისრაელი აგრესორები ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიაზე ახორციელებენ რეპრესიების პოლიტიკას მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ. სურათზე (ზემოთ მარჯვნივ): ისრაელი ჯარისკაცი ქალაქ ღაზაში ჩხრეკს არაბ მცხოვრებს.

რესპუბლიკა ნიგერი — სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დღევანდლამდე შეუსწავლელია. ეკონომიკის ძირითადი წყაროა მესაქონლეობა და არახისის მოყვანა. სურათზე (ქვემოთ): ჭასთან. წყალს იღებენ თხის ტყავისაგან გაკეთებული ტიკებით.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ჩრდილოეთ ირლანდიაში მდგომარეობა მწვავდება

ლონდონი, 31 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ა. დრიანლოვი გვატყობინებს: ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქების ქუჩები კვლავ გადახიდულია ბარიკადებითა და მავთულნლართებით. ინგლისის ჯარების ქვეგანყოფილებმა, აგრეთვე პოლიციის გაძლიერებულმა რაზმებმა გუშინ საბრძოლო საკუშაგოები დაიკავეს ოლსტერის ქალაქების ქუჩებში და მოედნებზე იმ მღელვარების შემდეგ, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიაში მოხდა უკანასკნელი დღეების განმავლობაში.

ლონდონდერიში სასამართლოს წინაშე წარსდგა ლონდონდერის კათოლიკურ რაიონში — ბოგსაიდში გამართული დემონსტრაციის 26 მონაწილე, სადაც 29 მარტს ღამითა და 30 მარტს დილით გრძელდებოდა დემონსტრაციის მონაწილეთა შეტაკება ინგლისის ჯარებთან და პოლიციის ნაწილებთან. ორივე მხრივ არის ათობით დაჭრილი.

მოსახლეობასა და ინგლისის ჯარების სადამსჯელო რაზმებს შორის შეტაკებანი მოხდა აგრეთვე არმიაში, სადაც პოლიციამ შვიდი დემონსტრანტი დააპატიმრა. 29-30 მარტს ოლსტერის 30 ათასზე მეტი მცხოვრები მონაწილეობდა საალდგომო დემონსტრაციებსა და მარშებში. მაგრამ ამ მარშებს სრულებითაც არ ჰქონდათ რელიგიური ხასიათი.

მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლებმა, რომლებიც ძირითადად ჩრდილოეთ ირლანდიის უუფლებო კათოლიკური მოსახლეობის ინტერესებს გამოხატავენ, მოითხოვეს, რომ განხორციელდეს საჭირო ეკონომიური და სოციალური რეფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მასობრივი უმუშევრობისა და სიღატაკის აღმოფხვრას ჩრდილოეთ ირლანდიაში.

მეფლვაურთა ამხანაგობის კანონით

„ბეინლა დიდი მაღლობა გადავუხადოთ თქვენს ორგანოებს, ყინულშვიდრეთ ბეიმებს და ადგილობრივ მოსახლეობას სწრაფი, ეფექტიანი დახმარებისათვის, რაც გაუწიეს მეგზურებს იბიუროს კუნძულთან მოგზაური უეცარი უბედურების დროს. ბეთოვთ გადასცეთ ჩვენი მადლობა ყველა პირს და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საქმეში“.

ასეთი დეპეშა, რომელსაც ხელს აწერდა იაპონიის პირველი რაიონის საშველი სამსახურის მმართველი, მიიღეს სახალინის ხალმსკის ნავსადგურში ქალაქ ოტარუდან. ამ სტრიქონებს მიღმა იმალება საბჭოთა ადამიანების მამაცური, შეუპოვარი ბრძოლა იაპონელ მეგზურთა ხსნისათვის.

...16 მარტს საღამოს წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს თავს დაატყდა უძლიერესი ციკლონი. იაპონიის სანდლები, რომლებიც თევზს იჭერდნენ ამ რაიონში, უძლურნი აღმოჩნდნენ 12-ბალიანი შტორმის წინაშე და იძულებული გახდნენ შემოსულიყვნენ სსრ კავშირის ტერიტორიულ წყლებში.

ორმოცზე მეტმა გემმა შეაფარა თავი სახალინის ბოლმსკისა და კრასნოგორსკის ნავსადგურებს. სანდლების მეორე ჯგუფი შეეცადა დამალულიყო კასტაკის ყურეში ატიტურუპის კუნძულზე. მაგრამ აქ მათ საფრთხე ელოდათ. გრიგალმა უინულებით ჩახერგა ყურე. უინულებმა ჩაეტეტა ოკეანეში გასასვლელი და რკინის რკალად გარშემოერტყნენ პატარა გემებს. ერთი მათგანი ნაუშვივით გასკდა, და ყინულის მარწუხებში მოქცეული ჩაიძირა. ორი სხვა გემი ქარაფებზე გაირიყა.

გაყინული, ძალაგამოლეული მებადურები ყინულით დაფარულ ბორცვებს შორის აღმოჩნდნენ. აქ ისინი იმოვნეს საბჭოთა მესაზღვრეებმა. კაპიტან ბ. გ. მირშნიჩენკოს მთელი საგუშაგო დაირაზმა უბედურებაში ჩავარდნილი მებადურების გადასარჩენად. ხშირ ნისლში, ღრმა თოვლში ჩვენი მესაზღვრეები დეხმარნენ 40 იაპონელ მებადურს და საგუშაგომდე მოიყვანეს. ყინვისა და გრიგალის შემდეგ აქ მათ დახვდათ თბილი, სტუმართმოყვარული სახლი, ეფრეიტორმა. ვლადიმერ ლუბიმკინმა, რიგითმა ჯარისკაცმა პეტრე პუდოვმა ცეცხლთან მიიყვანეს იაპონელები, დაეხმარნენ გაეშროთ გაყინული ტანსაცმელი. ზემდეგი ვ. მ. პოლენცევი, სერჟანტი გ. მ. დანილოვი გაუშასპინძლდნენ მათ ცხელი ჩაით. მძიმედ დაშავებულთ ედო ესიკაცუს, ნიკომორო ტიტოსისა და სხვებს სამედიცინო დახმარება გაუწიეს.

ყურეში იყო კიდევ რამდენიმე იაპონური სანდალი, რომლებიც ყინულების რკალში იყვნენ მომწყვდეული. უბედურების სიგნალებს გამოხმაურნენ საბჭოთა თევზსაჭერი და საკავშირო გემების, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სასაზღვრო ჯარების ხომალდების ეკიპაჟები, სანაპირო დაბების მცხოვრებნი საბჭოთა საშველმა სამსახურმა რადიოთი მითითება მისცა კურილის კუნძულების რაიონში მყოფ გემებს ყველასთან გამოეკვლიათ რაიონი და დაუყოვნებლივ დახმარებოდნენ უბედურებაში ჩავარდნილ ყველა იაპონელ მეგზურს.

კატასტროფის ამბავი ეცნობა აგრეთვე იაპონიის საშველი სამსახურს, რომელმაც ავარიის ადგილისაკენ ხომალდი „ერიმო“ გაგზავნა.

კატასტროფის ადგილზე პირველი მივიდნენ სასაზღვრო კატარღები მე-8 რანგის კაპიტნების ს. ბ. ლიბოვისა და ი. ვ. დოლგიხოვის ბრძანებით. თითქოს ცა ზღვასთან შერწყმულაო, ყველაფერი გრგვნავდა: ქარის ზუზუნი, ტალღების ტლაშუნი, ერთმანეთზე შემჯდარი ყინულების ჭახანი.

ასეთ ვითარებაში წარმოუდგენლად რთული იყო არა მარტო სანდლებთან მიახლოება, არამედ მათთვის თვალყურის დევნებაც. მაგრამ კატარღები მაინც შეეცადნენ გზა გაეკვლიათ მებადურებისაკენ. საზრიანობა, დიდი მამაცობა გამოიჩინეს ჩვენმა მესაზღვრეებმა — მე-8 რანგის კაპიტანმა გ. ი. ტიულკოვმა, მიჩმანებმა პ. ა. კოვალჩუკმა, ვ. პ. შიშკინმა, პირველი სტატიის ზემდეგმა ს. ვ. ვოლკოვმა, მატროსებმა ანატოლი ვასილიევმა, ლევ კარელინმა, ევგენი უდოროვინმა, ეკიპაჟის თვითეულმა წევრმა.

18 მარტს დილით ყურეში მოვიდა დიზელ-ელექტრომავალი „ვასნეცოვი“, ეს გემი რამდენიმე მილის დაშორებით იმყოფებოდა კატასტროფის ადგილიდან. მაგრამ, მიიღო თუ არა უბედურების სიგნალი, კაპიტანმა გადაწყვიტა დაეტოვებინა რეწვის ადგილი და დახმარებოდა იაპონელ მეგზურებს. სწრაფმავალ „ვასნეცოვს“ თორმეტი საათი დასჭირდა, ეს უძნელესი გზა რომ გადალახა. გემი სწორედ დროზე მოვიდა. დიზელ-ელექტრომავალის მძლავრი ძრავები, მაგარი კორპუსი დეხმარა მეზღვაურებს დაეძლიათ ყინულის ბარიერი და გზა გაეკაფათ სანდლებისაკენ.

ბევრ მათგანს გასტეხოდა ძრავები, ხრახნები, საქე არ მუშაობდა, მთელ ღამეს გრძელდებოდა ბრძოლა სტიქიის წინააღმდეგ. უინულის ტვეობისაგან პატარა გემების განთავისუფლებასა და სამშვიდობოზე გამოყვანაში ეხმარებოდნენ აგრეთვე სავაჭრო ფლოტის დიზელ-ელექტრომავალი „ოლენეკი“, ნადირთსარეწი „ერიალაკი“, საშუალო საყინული ტრაულერი „ბოცმანი“.

18 მარტს შუადღისათვის გადაარჩინეს 84 იაპონელი მებადური. მათ სტუმარმოყვარულად შეხვდნენ იტიურუპეს კუნძულზე, დაბინავეს სადაბო საბჭოს საზოგადოებრივ შენობებში. სოფლსაბჭოს მუშაკებმა და დაბა ბურეევესტნიკის მცხოვრებლებმა ისინი უზრუნველყვეს სურსათით, ტანსაცმლით, სამედიცინო დახმარებით.

რამდენიმე დღის მანძილზე საბჭოთა გემები კურილისა და სახალინის რაიონში ეძებდნენ განსაცდელში ჩავარდნილ იაპონელთა სხვა სანდლებს, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს.

22 მარტს ყველა გადარჩენილი მებადური აიყვანეს იაპონიის გემზე, რომელიც მათ წასაყვანად მოვიდა. დაბის მცხოვრებლებთან და მეზღვაურებთან გამოთხოვებისას მებადურებმა დიდი მადლობა გადაიხადეს გადარჩენისა და დახმარებისათვის. მაგრამ მათს სიხარულს შეშფოთება ემჩნეოდა: რამდენი უნდა გადაიხადონ ყოველივე ამისათვის? (არის ისეთი საერთაშორისო კანონი, რომელის თანახმად ზღვაში გემის გადარჩენისათვის გარკვეული საფასურია გადასახდელი).

მაგრამ საბჭოთა ადამიანები მათ დეეხმარნენ უანგაროდ — მეზღვაურთა ამხანაგობის კანონით, საბჭოთა საზოგადოების კანონით.

(საკდესის კორ.).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

მინდანაო წლის 30 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში არგენტინის რესპუბლიკის დროებითს საქმეთა რწმუნებულს სსრ კავშირში ფ. ე. დელ კამპოს გადაეცა საბჭოთა მთავრობის ნოტა არგენტინის მთავრობისადმი.

ნოტაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 29 მარტს ბუენოს-აირესში დამნაშავეთა შეიარაღებულმა ჯგუფმა სცადა გიეტანეებინა ერთ-ერთი საბჭოთა დიპლომატიური თანამშრომელი. ცოტა ხნით ადრე ბუენოს-აირესის ბეერმა გახეთმა გამოაქვეყნა ეგრეთ წოდებული „არგენტინის ეროვნული ორგანიზებული მოძრაობის“ განცხადება, რომელიც შეიცავს თავდასხმებსა და მუქარას არგენტინაში სსრ კავშირის ელჩის მიმართ.

ამასთან დაკავშირებით ნოტაში ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს დამნაშავეთა პროვოკაციულ მოქმედებას იმ ქვეყნის დედაქალაქში საბჭოთა ოფიციალური წარმომადგენლის მიმართ, რომელთანაც საბჭოთა კავშირს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, და პროტესტს უცხადებს არგენტინის მთავრობას.

საბჭოთა საელჩოს მუშაკთა წინააღმდეგ მუქარისა და შანტაჟის კამპანია, რომელიც არგენტინაში წარმოებს, აღნიშნულია ნოტაში, მათ საშეალებას არ აძლევს ნორმალურად შეასრულონ თავიანთი ფუნქციები.

ნოტაში გამოთქმულია იმედი, რომ არგენტინის ხელისუფლები მიიღებენ ზომებს, რათა გამოავლენონ ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვის აღნიშნულ დანაშაულებრივ მოქმედებაში, და რომ არგენტინაში სსრ კავშირის საელჩოსა და სხვა საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებს შეექმნებათ საჭირო პირობები ნორმალური საქმიანობისათვის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

მინდანაო წლის 30 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში არგენტინის რესპუბლიკის დროებითს საქმეთა რწმუნებულს სსრ კავშირში ფ. ე. დელ კამპოს გადაეცა საბჭოთა მთავრობის ნოტა არგენტინის მთავრობისადმი.

ნოტაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 29 მარტს ბუენოს-აირესში დამნაშავეთა შეიარაღებულმა ჯგუფმა სცადა გიეტანეებინა ერთ-ერთი საბჭოთა დიპ-

საქართველოს ამბავი — ბარათი

ეძღვნება დიად თარიღებს

კონკურსის გამარჯვებულნი

გამოვლინდნენ საუკეთესო ორიგინალური კინოსცენარისათვის კონკურსის გამარჯვებულნი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, რუსეთის ფედერაციის კინემატოგრაფისტთა და მწერალთა კავშირებმა გამოაცხადეს. კონკურსი ეძღვნება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

პირველი და მეორე პრემია არავის არ მინიჭებია. **მესამე პრემიით** კონკურსის ეფორომ დაჯილდოვა სცენარისტები ს. ფლენი და რ. ჩხეიძე სცენარისათვის „ციმბირელი პაპა“ და რ. ჯეიშვილი — სცენარისათვის „განთიადის წინ“. (საქდესი).

გენიოსი ნიკოლო პერლია

ჩვენი სტუმრები

ამ დღეებში თბილისში გასტროლებს დაიწყებს ცნობილი მომღერალი **ნიკოლო პერლია** (ბარიტონი). იგი დაიბადა 1927 წელს რუმინეთში. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ უკონკურსოდ ჩაირიცხა ბუქარესტის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სულ მოკლე ხანში დაიკავა წამყვანი ბარიტონის ადგილი და დღეს უაღრესად პოპულარული მომღერალია.

რუმინეთის, სახალხო რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პრაღის ფესტივალის ლაურეატი (პირველი პრიზი), ყველის ინტერნაციონალური პრემიის ლაურეატი ბელგიის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის დიდი ოქროს medalის მფლობელი ნიკოლო პერლია დიდი წარმატებით მართავდა გასტროლებს საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრალიაში, საბჭოთა კავშირში. ტრიუმფალური იყო შარშანდელი გამოსვლები იტალიაში, მილანის „ლა სკალაში“ და ინგლისში ლონდონის „კოვენტ-ჰაგრდენში“.

გასული წლის ბოლოს ჰერლია პარიზის „გრანდ-ოპერაში“ სამ სპექტაკლში გამოვიდა. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ ფიგაროს კავატინა ოპერა „სეველიელ დალაქში“ რამდენჯერმე გაიმეორებინეს.

მომღერლის რეპერტუარშია ბარიტონის მხოლოდ წამყვანი პარტიები, ბევრი ორატორია, საკონცერტო არიები, რომანსები და სიმღერები. ჰერლია სიმღერებს ასრულებს ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ, ბერძნულ, ბულგარულ, ალბანურ, ებრაულ, ფინურ, ბასკურ, ბელგიურ, ფლამანდიურ, ბერძნულ